საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 1332
13/03/2019

1332-09-2-201903131637

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. **პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მიმდინარე წელს, შემოსულია: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრი“-ს, (ს/ნ 433649359) ხელმძღვანელობის მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N32-ში მდებარე 337.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1, 225.00 კვ.მ. (ჭადრაკის სახლის) შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.138)) აიპისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, რომელიც მას ესაჭიროება ჭადრაკის სექციის ფუნქციონირებისათვის და ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი”-ს (ს/ნ 433649322) დირექტორის დავით წულაძის მოთხოვნა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 7889.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული N1 და N2 დანგრეული შენობა-ნაგებობების (ს/კ 27.09.46.282) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ აიპიებისთვის გადაცემა არის მიზანშეწონილი, რადგან ისინი შეძლებენ მისთვის წესდებით დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი''

2800 საქართველო, ლანჩხუთის რაიონი, ნინოშვილის ქ. №37. ტელ.599 16 09 99

№ 133

10 ივლისი
"__" "----------" 2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ: ალექსანდრე სარიშვილს

როგორც მოგეხსენებათ ა(ა) იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი'' ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მასში შემავალი სოფლებიდან მყარი ნარჩენების გატანას , აღნიშნული სამუშაოს განხორციელება ხდება სპეციალური ნაგავმზიდი ავტომანქანებით, რომელსაც მას შემდეგ, რაც მოხდება ნაგვის გაცლა, ესაჭიროება გარეცხვა და სპეციალური სითხით დამუშავება, საჭიროა ასევე ავტოსადგომის მოწყობა, რისთვისაც ორგანიზაციას ესაჭიროება საქმიანი ეზო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, სარგებლობის უფლებით გადმოგვცეთ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 7889(შვიდიათასრვაასოთხმოცდაცხრა) კვ.მ. მიწის ნაკვეთი ს/კ 27.09.46.282 საქმიანი ეზოს მოსაწყობად.

ა(ა)იპ „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრის"

დირექტორი: /დავით წულაძე/

5500
16. 07. 2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 347
12/03/2019

347-09-3-201903121609

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი ფაცურიას

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის

მამუკა ვადაჭკორიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 16 ივლისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-ს (ს/ნ 433649322) დირექტორმა დავით წულაძემ (მერიის კანცელარიის ნომერი: 5500, 16.07.2018 წ.), რომლითაც გვთხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩიბათში მდებარე 7889 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.46.282) სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-თვის" გადაცემას, რადგანაც, კანონის შესაბამისად შეძლოს ხსენებულმა ა(ა)იპ-მა აღნიშნული ტერიტორიის გამოყენება თავისი მიზნებისათვის.

ჩვენი სამსახურის მოსაზრებაა, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საფუძვლიანი თხოვნის გათვალისწინებით (მერიის კანცელარიის ნომერი: N5500, 16.07.2018 წ.), ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-რე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩიბათში მდებარე 7889 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27./09.46.282) და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1(დანგრეული), N2 (დანგრეული), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) , უვადოდ გადაეცეს, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,, კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ (ს/ნ 433649322).

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გთხოვთ, განიხილოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებისას დაავალოთ მერიის იურიდიულ სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

მამუკა ვადაჭკორია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2019 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N32-ში მდებარე 337.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულენის მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1, 225.00 კვ.მ. (ჭადრაკის სახლის) შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.138)) ,,ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს (ს/კ 433649359).

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 7889.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულენის მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1 და N2 დანგრეული შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.09.46.282) ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/ნ 433649322).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**